



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კარბელაანთ კილო

კარბელაანთ კილო, ქართული (ქართლ-კახური) გალობის კილო, რომელიც კარბელაშვილების საგვარეულო ტრადიციამ ზეპირად შემოინახა. საგვარეულოს სათავეში დგანან პეტრე კარბელა (ხმალადე, 1754-1848), რ-იც გალობას მცხეთის საკათალიკოსო სემინარიაში დაეუფლა, და მისი შვილი - გრიგოლი (1812-80), რ-იც შიომღვიმის მონასტერსა და მარტყოფში მოღვაწეობდა. XIX-XX სს. გრიგოლის შვილებმა - ფილიმონმა, პოლიევქტოსმა და ვასილმა - განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს გალობის აღდგენისა და მისი ნოტებზე გადატანის საქმეში. „კარბელაანთ კილო“ ფიქსირებულია მათ მიერ მომზადებული და გამოცემული კრებულების სატიტულო გვერდებზე.

ლიტ.: ა ნ დ ლ უ ლ ა ძ ე ს., ძმები კარბელაშვილები, «მუსიკა», 2012, №4; ქართლ-კახური გალობა კარბელაანთ კილოთი, I ნაწ., «მწუხრი», ტფ., 1897; II ნაწ., «ცისკარი», ტფ., 1898; ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ი ვ., ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938; О н и ა ნ ი Е., С у х и ა ш в и л и М., Семья Карбелашвили, Православная энциклопедия, М., 2012.
